ხელშეკრულება N198
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

10 დეკემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - არჩილ სირაბიძის სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის №ს-162 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „ლაშვარდი", წარმოდგენილი დირექტორის ფრიდონ მგელაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის შედეგად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, (კლასიფიკატორის კოდი - CPV35100000; CPV45343100) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია: საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები CPV35100000 და ხანძარდაცვითი სამუშაოები CPV45343100.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4558,80** ლარს.

№	დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი	CPVკოდი
1	ევაკუაციის გეგმა A-2 ფორმატში ქართულ და ინგლისურ ენაზე, გრაფიკაში შესრულებული და A-2 სტიკერზე ამობეჭდილი	ცალი	10	120	1200	35100000
2	ევაკუაციის გზის მაჩვენებელი	ცალი	20	25	500	35100000
3	ცეცხლმაქრი ბურთულა 5 კგ	ცალი	1	280	280	35100000
	ჯამი				1980	35100000
4	შენობის სახურავის ხის კონსტრუქციების ცეცხლგამძლე ხსნარით დამუშავება	კვ. მ.	696	1.50	1044	45343100
5	შენობის სახურავის ხის კონსტრუქციების ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავება	კვ. მ.	696	1,3	904,80	
6	არსებული ცეცხლმაქრის შემოწმება	ცალი	15	12	180	45343100
7	არსებული ცეცხლმაქრის გადამუხტვა	ცალი	15	30	450	45343100
	ჯამი				2578,80	45300000
	ჯამი				4558,80	

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი - შტატგარეშე მოსამსახურე - რეზო ქათამაძე.

4.2. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაცია.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 6.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	*„მიმწოდებელი"*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	შპს „ლაშვარდი"
ტელ: (422) 27-35-10	ტელ: (995) 599 19-55-41
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი: ქ. ბათუმი, ვაშა-ფშაველას ქ. N 68
	საბანკო რეკვიზიტები:
	ს.ს. „საქართველოს ბანკი"
საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200	ბანკის კოდი –BAGAGE22
	ა/ნ – GE37BG0000000131808400
	საიდენტიფიკაციო კოდი -245619763
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:	დირექტორი:
/ა.სირაბიძე/ ბ. ა.	/ფ. მგელაძე/ ბ. ა.

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ვადასტურებ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „ლაშვარდს" შორის 2018 წლის 10 დეკემბერს გაფორმებული №198 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - არჩილ სირაბიძე, მატერიალურ ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი - შტატგარეშე მოსამსახურე - რეზო ქათამაძე, სახელმწიფო შესყიდვების, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ანალიზის განყოფილების უფროსი - II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - პაატა ცეცხლაძე და ამავე განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მინდია თედორაძე არ ვიმყოფებით მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

_____ /ა. სირაბიძე/

_____ /რ. ქათამაძე/

_____ /პ. ცეცხლაძე/

_____ /მ. თედორაძე/

10 დეკემბერი 2018 წელი